ხელშეკრულება N ტკტსგშ 2016–007
მომსახურების გაწევის შესახებ

ქ.თბილისი ,, 17,, თებერვალი 2016 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,ტრანს კავკასუს ტერმინალსი'' წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სულაბერიძის სახით (შემდგომში დამკვეთი) ქ.თბილისი, თამარ მეფის N15 და მეორეს მხრივ, შპს ,,ტრადოსი'' წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა მღებრიშვილის სახით (შემდგომში შემსრულებელი) ქ.თბილისი რუსთაველის გამზN36, ორივენი ერთად კი წოდებული ,მხარეებად''ვხელმძღვანელობთ რა ,საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე–3 მუხლის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა ,,დამკვეთის'' მოთხოვნისამებრ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ან/და პირიქით. (CPV- 79540000)

2.ხელშეკრულების ვადები და პირობები

2.1. ,,შემსრულებელი'' ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი)სამუშაო დღის ვადაში.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მარტამდე.

3.მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 291.88 (ორას ოთხმოცდათერთმეტი და ოთხმოცდარვა) ლარს დღგ–ს გარეშე, ხოლო დღგ–ს ჩათვლით 344.42 (სამას ორმოცდაოთხი და ორმოცდაორი) ლარს.

3.2. ტარიფები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი #1(ინვოისი). დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ,,შემსრულებლისათვის'' მომსახურეობის ღირებულების გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ინვოისის მწარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

4. თარგმნის ღირებულება:

- ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით -10 ლარი;
- ქართულიდან რუსულ ენაზე და პირიქით - 8 ლარი;
- რუსულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით - 12 ლარი;

5. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვროს : ნათელა ბერუაშვილი 577 773042

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 ,,მხარეები'' იღებენ ვალდებულებას სრულყოფილად, კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 იმ შემთხვევაში თუ თარგმანი შეუსაბამოა, "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას დაუყონებლივ გამოასწოროს თარგმნისას დაშვებული ხარვეზი, ყოველგვარი დამატებითი ღირებულების გარეშე და დამკვეთის მიერ მითითებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ,,დამკვეთი'' იტოვებს ვალდებულებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ერთი კვირით ადრე შეატყობინებს ,,შემსრულებელს''
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს ორივე ,,მხარის'' ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით. ასეთ შემთხვევაში ,,მხარეები'' იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულების შეწყვეტამდე შეასრულონ ან/და დაფარონ იმ დროისთვის არსებული ვალდებულება.
7.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას ,,შემსრულებელს'' არ აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტით მისთვის ზიანის ან/და მიუღებელი სარგებლის ანაზღაურება.

8. დასკვნითი დებულება

8.1. ნებისმიერი სადაო საკითხი გადაწყდება ,,მხარეთა'' შორის ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც 2 (ორი) ეგზემპლარი რჩება ,,დამკვეთს'', ხოლო 1(ერთი) ,,შემსრულებელს''.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“	„შემსრულებელი”
შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსი''	შპს: ,, ტრადოსი “
ქ.თბილისი, თამარ მეფის N15	ქ.თბილისი რუსთაველის გამზN36
ს/კ 202462101	ს/ნ 204544029
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	სს,საქართველოს ბანკი,“
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE21 VT65 0000 0007 7736 07	ა/ა: № GE09BG 0000000 2347 22 800
ლევან სულაბერიძე	ხათუნა მღებრიშვილი

დანართიN1

<u>შესრულებული სამუშაო:</u> მთარგმნელობითი მომსახურება

#	მომსახურების დასახელება	სიმბოლ. რ-ბა	ზომის ერთ.	თარგმნ. გვ. 1გვ=1800სიმბ.	1გვ. ღ-ბა	ჯამი
1	1.დანართი 1 (ინგლისურ ენაზე)	3936	გვ	2.19	10	21.87
2	2.დანართი 2 (ინგლისურ ენაზე)	6077	გვ	3.38	10	33.76
3	3.დანართი 3 (ინგლისურ ენაზე)	5179	გვ	2.88	10	28.77
4	4.ხელშეკრულება 2014 (1) (ინგლისურ ენაზე)	13996	გვ	7.78	10	77.76
5	1.დანართი 1 (რუსულ ენაზე)	3936	გვ	2.19	8	17.49
6	2.დანართი 2 (რუსულ ენაზე)	6077	გვ	3.38	8	27.01
7	3.დანართი 3 (რუსულ ენაზე)	5179	გვ	2.88	8	23.02
8	4.ხელშეკრულება 2014 (რუსულ ენაზე)	13996	გვ	7.78	8	62.20

<u>მომსახურების ღირებულება:</u>

ჯამი: 291.88

დღგ: 52.54

სულ ჯამი: **344.42** | სამას ორმოცდა ოთხი ლარი და **42**თ